

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სტ. საპრ. №3-14

თბილისი

03.09.2014წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის ვაჟა ფანჩულიძის სახით, შემდგომში - შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, მისი გენერალური დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს №1495 განკარგულების საფუძველზე, ვლდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ134-კმ135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღრობითი ღონისძიებებისთვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV 71320000) - შემდგომში მომსახურება.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით შეადგენს 57 350.00 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას სამასორმოცდაათი) ლარს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშ-ფაქტურა მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება განახორციელოს - ამავე ობიექტზე, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ134-კმ135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღრობითი ღონისძიებების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არაუმეტეს 2% პროცენტის ფარგლებში.

2.5. იმის გათვალისწინებით რომ პროექტირება და სამუშაოები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მშენებელისათვის გადასაცემი დოკუმენტაცია წარმოადგინოს ეტაპობრივად, ხოლო მომსახურების გაწევის დროს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების დაზუსტებისა და დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველი მომსახურების მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

4.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

4.3. ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;
- ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- გ) მომსახურების გასაწევად მიმწოდებელი უფლებამოსილია მოიწვიოს ქვეკონტრაქტორები, მხოლოდ შემსყიდველის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ;
- დ) ანგარიშსწორებისას ყოველთვის უნდა მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;
- ე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს 03.09.14წ.-30.11.14წ. ვადებში;
- ზ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) ობიექტის ჩაბარების ვადები განსაზღვროს მიმწოდებელთან შეთანხმებით;
- ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისათანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ობიექტის საპროექტო მომსახურების ჯამური ღირებულების 3% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

მუხლი 8. ინსპექტირება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.

8.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მოუხედავად მისი დაწყების დროისა);
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

9.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

9.4 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია გასაწევი მომსახურების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.7. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, ღვა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს სააგრომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის № 200 122 900, კოდი TRESGE22.



3.

ვაჟა ფანჩულიძე

მიმწოდებელი:

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, მის. საქართველო, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №13 ს/კ 204 986 195, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ვითობი ბანკი ჯორჯია“ ბ/კ: UGEBGE22, ა/ა № GE 81 VT 6600 0000 4444 5555.

ხელმოწერა

ტალი ტალიაშვილი



16. ქობ. კეკელიძე